# ჩვენ გაწვდით ინფორმაციას ჰორმონული კონტრაცეფციის შესახებ ხოლო გადაწყვეტილებას

# იღებ შენ !



## ოჯახის დაგეგმვა გაძლევს შანსს

- თავიდან აიცილო არასასურველი ორსულობა;
- თავად განსაზღვრო შვილების სასურველი რაოდენობა;
- არეგულირო ორსულობებს შორის ინტერვალი;
- შეინარჩუნო ქალის ჯანმრთელობა;
- ოჯახში დაამკვიდრო სიმყუდროვე და ჰარმონიული ურთიერთობები;
- განახორციელო ცხოვრების მომავალი გეგმები (განათლება, ფინანსური სტაბილურობა, კარიერული წინსვლა).

## როდის მივმართოთ რჩევისთვის:

- თუ თქვენ ახლახანს დაიწყეთ სქესობრივი ცხოვრება;
- იმშობიარეთ, ჩაიტარეთ საკეისრო კვეთა;
- გაიკეთეთ აბორტი;
- დაქორწინდით, მაგრამ შვილების ყოლა ჯერჯერობით არ გსურთ;
- გყავთ შვილები და აღარ გსურთ მეტი შვილის გაჩენა;
- არ იცით, გამოიყენოთ თუ არა კონტრაცეფცია თქვენს ასაკში, ან ეჭვობთ, თუ რამდენად მისაღები იქნება თქვენთვის ესა თუ ის მეთოდი.

# კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები (კომბინირებული აბები)

## მოქმედების მექანიზმი

შეიცავს ჰორმონების მინიმალურ დოზას (ესტროგენს და პროგესტაგენს). აჩერებს ოვულაციას. ასქელებს საშვილოსნოს ყელის ლორწოს, რაც ამძიმებს სპერმატოზოიდების შეღწევას საშვილოსნოში.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 99 %–ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 1 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- რეგულარული გამოყენებისას იცავს არასასურველი ორსულობისაგან;
- იცავს საკვერცხისა და საშვილოსნოს კიბოსა და მენჯის ღრუს ზოგიერთი ინფექციისგან;
- ამცირებს მენსტრუალურ ტკივილს;
- არ აქვს კავშირი სქესობრივ აქტთან.

## ნაკლოვანებები

- ზოგ შემთხვევაში ახასიათებს მცირედი გვერდითი მოვლენები: თავისტკივილი, გულისრევა, მკერდის დაჭიმულობა და გამლიერებული მგრძნობელობა;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან;
- არარეგულარული მიღების შემთხვევაში არაეფექტურია.

## მითი

მწეველი ქალბატონებისთვის არ არის რეკომენდირებული.

## სად არის ხელმისაწვდომი

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებსა და აფთიაქებში.



## (მინი პილი)

## მოქმედების მექანიზმი

შეიცავს ჰორმონის მხოლოდ ერთ სახეობას (პროგესტაგენს). თრგუნავს ოვულაციას. ასქელებს საშვილოსნოს ყელის ლორწოს, რაც აძნელებს სპერმატოზოიდების შეღწევას საშვილოსნოში. პროგესტაგენის მიღება აუცილებელია მოხდეს ყოველდღე ერთსა და იმავე დროს.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- რეგულარული გამოყენებისას იცავს არასასურველი ორსულობისგან;
- არ აქვს კავშირი სქესობრივ აქტთან;
- გამოყენება მეძუძური ქალებისთვის ნებადართულია;

## ნაკლოვანებები

- არარეგულარული მიღების შემთხვევაში არაეფექტურია;
- შესაძლოა გამოვლინდეს მცირედი გვერდითი მოვლენები;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

რეკომენდირებულია მხოლოდ მეძუძური დედებისთვის.

## სად არის ხელმისაწვდომი

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებსა და აფთიაქებში.



# პროგესტაგენული საინექციო კონტრაცეფცია

## მოქმედების მექანიზმი

ინექციის სახით შეყვანილი საშუალება ნელა გამოათავისუფლებს ჰორმონ პროგესტაგენს, რაც აფერხებს ოვულაციას. საინექციო ფორმა კეთდება 2-3 თვეში ერთხელ.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 99 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 1 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ხასიათდება ხანგძლივი მოქმედებით;
- კავშირი არ აქვს სქესობრივ აქტთან;
- ხელსაყრელია მეძუძური დედებისთვის მშობიარობიდან 6 კვირის შემდეგ;
- ამცირებს საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკს;
- ამცირებს მენსტრუალურ ტკივილს.

## ნაკლოვანებები

- იწვევს მენსტრუალური ციკლის დარღვევას;
- ზოგ შემთხვევაში წონაში მატებას (2-4 კგ წელიწადში);
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

იწვევს ჭარბ სისხლდენას საშოდან.

## სად არის ხელმისაწვდომი

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებში.



# სუბდერმული პროგესტაგენული იმპლანტები (კანქვეშა იმპლანტები)

## მოქმედების მექანიზმი

ჯატარა დრეკადი ჩხირი, რომელიც თავსდება კანქვეშ, ასქელებს საშვილოსნოს ყელის ლორწოს და ხელს უშლის სპერმატოზოიდების გადაადგილებას საშვილოსნოს ყელში და მის კვერცხუჯრედამდე მიღწევას.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ეფექტურია 3-5 წლის მანძილზე;
- არ უკავშირდება სქესობრივ აქტს.

## ნაკლოვანებები

- პირველი წლის განმავლობაში მენსტრუაცია ხდება არარეგულარული;
- ზოგ შემთხვევაში ახასიათებს გვერდითი მოვლენები (თავისტკივილი, გულისრევა, მკერდის დაჭიმულობა);
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

მისი ჩანერგვა შეუძლია ნებისმიერ ექიმს.

## სად არის ხელმისაწვდომი

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებში.



# კონტრაცეფციული პლასტირები

## მოქმედების მექანიზმი

მცირე ზომის თხელი პლასტირი, რომელიც მაგრდება კანზე გამოყოფს ჰორმონებს (ესტროგენს და პროგესტაგენს) და ხელს უშლის ოვულაციას. სქელდება საშვილოსნოს ყელის ლორწო, რაც ართულებს სპერმატოზოიდების გადაადგილების საშვილოსნოს ყელში.

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100 დან 2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობები

- ეფექტურია 6-7 დღის მანძილზე;
- არ უკავშირდება სქესობრივ აქტს;
- არეგულირებს მენსტრუაციას, ამცირებს სისხლდენასა და ტკივილს;
- ამცირებს საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკს.

## ნაკლოვანებები

- ხილულია, ზოგ შემთხვევაში აღიზიანებს კანს;
- საჭიროებს შეცვლას კვირაში ერთხელ;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

პლასტირით დაუშვებელია შხაპის მიღება.



# გადაუდებელი კონტრაცეფცია

## მოქმედების მექანიზმი

გამოიყენება დაუცველი სქესობრივი აქტიდან 5დღის მანძილზე. შეიცავს ერთ ჰორმონს (გესტაგენს). აფერხებს ოვულაციას, და აჩერებს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მიმაგრებას ენდომეტრიუმზე (საშვილოსნოს შიდა კედელზე).

## ეფექტურობა

ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას ეფექტურია 98 %-ით, ანუ ერთი წლის განმავლობაში 100-დან 2 ქალს აქვს დაორსულების შანსი.

## უპირატესობა

ერთადერთი საშუალებაა,რომელიც იცავს დაუცველი სქესობრივი აქტის შემდეგ.

## ნაკლოვანებები

- ზოგ შემთხვევაში ახასიათებს გვერდითი მოვლენები –(თავისტკივილი, გულისრევა, მკერდის დაჭიმულობა და გაძლიერებული მგრძნობელობა);

- არ შეიძლება ხშირად გამოყენება;
- არ იცავს სქესობრივი გზით გადამდები (სგგი) ინფექციებისგან.

## მითი

შესაძლებელია მისი რეგულარული გამოყენება.

## სად არის ხელმისაწვდომი

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებსა და აფთიაქებში.



## გაითვალისწინე !!!

### ქალი შესაძლებელია დაორსულდეს

- პირველივე სქესობრივი აქტის შედეგად;
- ნებისმიერი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების არასწორად გამოყენებისას;
- ისე რომ მისი საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ იყოს;
- ცოცხალი სპერმატოზოიდების მოხვედრისას საშოში, ნებისმიერი სქესობრივი კავშირის შედეგად;
- შეწყვეტილი სქესობრივი აქტის შემთხვევაში;
- მენსტრუალური ციკლის დროს.

სწორად შერჩეული კონტრაცეფცია თავიდან აგაცილებთ ხელოვნური აბორტის საჭიროებას და აბორტით გამოწვეულ, როგორც ახლო (მცირე მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები, სისხლდენა, პერფორაცია), ასევე შორეულ (უშვილობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, საშვილოსნოს გარე ორსულობა) გართულებებს.

## მოგვმართე კონსულტაციისთვის და გაიგე მეტი შენი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ

კონფიდენციალური **ონლაინ-კონსულტაციისთვის** მოქმედებს ვებ გვერდი:

**www.youth-counceling.ge**

ყოველდღე კვირის გარდა 14:00-17:00 საათამდე. შესაძლებელია შეტყობინებების დატოვება.

ექიმ რეპროდუქტოლოგის **პირადი კონსულტაციისთვის** მიმართეთ ასოციაცია ჰერა XXI-ის ახალგაზრდულ-მეგობრულ ცენტრს მისამართზე: თბილისი, გამსახურდიას გამზ. IIკვარტალი, 9 კორპ., ბ 2

კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია წინასწარ დარეკოთ და ჩაეწეროთ ნომერზე:

**2 14 28 53**

მოქმედი ელექტრონული მისამართია heracounceling@caucasus.net

## მიიღე სწორი ინფორმაცია ანონიმურად და უფასოდ

www.hera-youth.ge

www.rfsu.se